ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7869374

ნომერი: AR11133042

თარიღი : 11.03.2026

გაცემის თარიღი : 03.04.2026

გაცნობის თარიღი : 06.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იუმაშევი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა მაღლაკელიძე პ/ნ 01011083795
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი 19, ბინა 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 11 მარტს №AR11133042 განცხადებით მომართა საბა მაღლაკელიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 09

ოქტომბრის №7246985 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებით შეთანხმდა №01.19.26.004.223 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საამქრო/სტამბის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 9 ოქტომბრიდან 2026 წლის 9 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ბლოკების („ა“ და „ბ“ ბლოკები) მიხედვით ცალ-ცალკე დაფიქსირებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებით შეთანხმებულია საამქრო/სტამბის არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმებიდან და გენ-გეგმიდან დგინდება, რომ საპროექტო შენობა მოიცავდა ორ ბლოკს („ა“ და „ბ“ ბლოკები). შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ბლოკების, მიხედვით ცალ-ცალკე დაფიქსირება. ამასთან, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია გენ-გეგმა, რომელზეც დატანილია „ა“ და „ბ“ ბლოკების ფუნქციები და ფართობები ცალ-ცალკე. ამასთან, დგინდება, რომ „ა“ ბლოკის საერთო ფართობი შეადგენს 2236.8 კვ.მ-ს., ხოლო, „ბ“ ბლოკის საერთო ფართობი - 864.3 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს შემდეგი:
„ა“ ბლოკი:
განაშენიანების ფართობი 2279.7 კვ.მ.
საერთო ფართობი 2236.8 კვ.მ.
საწარმოო ფართობი 1504.0 კვ.მ.
სასაწყობე ფართობი 701.2 კვ.მ.
დამხმარე ფართობი 31.6 კვ.მ.
სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) 21650.8
0.00 ნიშნულს ქვევით (კუბ.მ) 3418.5
0.00ნიშნულს ზევით (კუბ.მ) 18232.3
შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე 10.9 მეტრი.
0.00 ნიშნულს ქვევით 1.2 მეტრი
0.00ნიშნულს ზევით 9.7 მეტრი
კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 2279.7 კვ.მ.
კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 2279.7 კვ.მ.
კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 6144.28/14809=0.4

„ბ“ ბლოკი:
განაშენიანების ფართობი 881.0 კვ.მ.
საერთო ფართობი 864.3 კვ.მ.
სასაწყობე ფართობი 864.3 კვ.მ.
სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) 6178.9
0.00 ნიშნულს ქვევით (კუბ.მ) 1157.2
0.00ნიშნულს ზევით (კუბ.მ) 5021.7
შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე 7.88 მეტრი.
0.00 ნიშნულს ქვევით 1.2 მეტრი
0.00ნიშნულს ზევით 6.68 მეტრი

კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 881 კვ.მ.
კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 881 კვ.მ.
კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 144.28/14809=0.4
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გენ-გეგმით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 09 ოქტომბრის №7246985 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.